ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5840705

ნომერი: AR1876294

თარიღი : 04.02.2022

გაცემის თარიღი : 10.03.2022

გაცნობის თარიღი : 10.03.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

null; null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხვითარია პ/ნ 01024020824
- k. kapanelis 5 b 41

ნომენკლატურა :

- რკინიგზა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს ტრანსმშენი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 212274812
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიოტგი ტაბატაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001077033

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 199.23
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 199.23
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 0.6

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 0.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 0.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 0.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1876294 განცხადებით მომართა მოქალაქე ნინო ხვითარიამ და მოითხოვა, ქ. თბილისში, კაიროს ქუჩაზე რკინიგზის დემონტაჟისათვის მშენებლობის ნებართვა. ვინაიდან ზემოხსენებულ №AR1876294 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2022 წლის №5796386 და №5826228 ბრძანებებით განმცხადებელს არაერთხელ დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 20 დღის ვადაში წარმოდგენა, რაც არ განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ ინტერაქტიულ რუკაზე კვლავ არ იქნა განსაზღვრული სადემონტაჟო ნაგებობის შესაბამისი ზუსტი ტრაექტორია. კვლავ არ იქნა წარმოდგენილი საექსპერტო შეფასება. აღსანიშნავია ასევე, რომ წარმოდგენილია შპს „ნიქ“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406135427) ერთ-ერთი დირექტორის ჟდანოვის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელსაც აღენიშნება შემდეგი ხარვეზი, სახელდობრ - აღნიშნულ წერილში გამოხატული არ არის მეორე დირექტორის გურამი კალოიანის (პირადი 01003001740) დადებითი ნებელობა მასზედ, რომ არქიტექტურის სამსახურმა დააკმაყოფილოს სს „ტრანსმშენი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212274812) მოთხოვნა.

წარმოდგენილი არ არის N01.02.635 ხაზობრივი ნაგებობის განთავსების მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ, წერილობით გაცემული - შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ არქიტექტურის სამსახურმა დააკმაყოფილოს სს „ტრანსმშენი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212274812) მოთხოვნა. წარმოდგენილი არ არის იპოთეკარის წერილობითი თანხმობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, №AR1876294 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე ნინო ხვითარიას განცხადება;

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.